ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №532688

ნომერი: AR1105837

თარიღი : 28.01.2013

გაცემის თარიღი : 06.02.2013

გაცნობის თარიღი : 06.02.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქ.სამხედრო გზაზე , ახმეტელის ქუჩისა და ა.გ.ს. , "გრეკოს"-ს შორის ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ხიზანიშვილი პ/ნ 01022009568
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 39ვ ბ. 71

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2013 წლის 28 იანვარს №AR1105837 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიდუბე–ჩუღურეთის რაიონში, საქართველოს სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩის და ა.გ.ს „გრეკო“–ს შორის არსებულ №01.13.01.022.148 მიწის ნაკვეთზე სავაჭრო ობიექტის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ არაერთხელ ეთქუა უარი აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებას.

დღევანდელი მდგომარეობით არ არის აღმოჩენილი ახალი გარემოებები, გამომდინარე აქედან სამსახური რჩება იგივე პოზიციაზე და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნია აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება.

ამასთან, რადგანაც ამავე განაცხადით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ითხოვდით შეხვედრას, სამსახურის მიერ რამოდენიმეჯერ განხორციელდა თქვეს მიერ მითითებულ ნომერზე 568 720205 სატელეფონო შეტყობინება, თუმცა ვერ მოხერხდა თქვენთან დაკავშირება, გამომდინარე აქედან შეხვედრა შედგება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან ა/წ. 14 თებერვალს17:00 საათზე, შარტავას ქ. #7 (მერიის შენობა), სართული 2, ოთახი #7.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge